# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— კვირა, 28 მაისი 1900 წ. № 1137

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

28 და 29 მაისს 1900 წელს მუშტაიდის ბაღში დანიშნულია «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო ბაზრითურთ

ვაჭრობა დაიწყება შუადღის 12 საათიდან და გასტანს საღამოს 10 საათამდის.

სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო: მუსიკა და ზურნა.

**ბავშვებისათვის იქნება სხვა-და-სხვა სათამაშოები და გასართობები.**

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპეიკი.

თუ ავდარი იქმნა, სეირნობა და ბაზრობა გადადებულ იქმნება 4 და 5 ივნისისათვის. (ნ. 0—48)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეაძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოგზავნონ პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ. კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შემდეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში. ნ. 10—10

### მთავრობის განკარგულებანი

სამსახურიდან გამოსული შტაბს-კაპიტანი თავ. თარხნიშვილი ჩარიცხულ იქმნა კავკასიის საინჟინერო ჯარში პორუჩიკის ჩინით.

## ახალი ამბავი

— გავახსენებთ მკითხველთ, რომ დღეს და ხვალ მუშტაიდში იქნება სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ **წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** თუ ავდარი იქმნა, სეირნობა გადიდება 4 და 5 ივნისისათვის.

— დღეს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური კრება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა.** მოგვყავს „საზოგადოების“ გამგეობის ანგარიშიდან ზოგიერთი ცნობები 1899 წლის მოქმედების შესახებ: სულ ამ ჟამად „საზოგადოებაშია“ 611 წევრი; მათგან— 8 საპატიო, 74 დამფუძნებელი და 529 ნამდვილი. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ არ მომატებია სკოლები. ა) კავკავის სკოლაში სულ სწავლობდა 1900 წელს 150 მოწაფე (105 ვაჟი და 45 ქალი); სკოლაზე და მასთან ეკკლესიაზე სულ საანგარიშო წელს დახარჯულა 4019 მან. 39 კაპ., აქედან 616 მან. 13 კაპ. დახარჯულია „საზოგადოების“ ფული, ხოლო დანარჩენი კავკავის კომიტეტს უკისრნია. ბ) ბათუმის სკოლაში ყოფილა 159 მოწაფე (მათში 26 მაჰმადიანი ქართველი); სკოლაზე „საზოგადოებას“ დაუხარჯავს 529 მან., ადგილობრივ კომიტეტს 4000 მანეთზე მეტი. გ) თონეთის სკოლაში ყოფილა 60 მოწაფე; დახარჯულა „საზოგადოების“ საშუალებიდან 287 მ. 85 კ., ხოლო 300 მან. ჩაწერილია თონეთის სკოლის საზოგადოებაზე. დ) წინარეხის სკოლაში ყოფილა სულ 43 მოწაფე; სკოლაზე დახარჯულა 708 მან. „საზოგადოების“ ფული. ე) გომარეთის სკოლაში ყოფილა—48 მოწაფე; დაიხარჯა „საზოგადოების“ მიერ 518 მან. 47 კაპ.. ვ) ხელთუბნის სკოლაში სწავლობდა 38 მოწაფე; დახარჯულა „საზოგადოების“ 38 მან., დანარჩენი ხარჯი გაუწევია სოფლის საზოგადოებას. ზ) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ყოფილა 482 მოსწავლე; საანგარიშო წელს სკოლაზე დახარჯულა: ქუთაისის ბანკის ფული—19.940 მან., კონცერტებიდან შემოსული—258 მან. და სწავლის ფასი—1280 მან.. თ) სენაკის სკოლაში სწავლობდა 149 მოწაფე; სკოლაზე დახარჯულა ქუთაისის ბანკის ფული 6597 მან. 97 კაპ.. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ ჰქონია 5 სახალხო ბიბლიოთეკა; წლის ბოლოს „საზოგადოებამ“ დააარსა ბიბლიოთეკა დიდ ჯიხაიშში (ქუთ. მაზრა). საანგარიშო წელს „საზოგადოებამ“ შემწეობა აღმოუჩინა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, მოსწავლეებს და სხვათ, სულ 566 მანეთისა. 1899 წლის დამდეგს „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ყოფილა 3321 ნომერი ქართული წიგნი და ხელთნაწერი, 1186—სხვა ენებზე. წლის განმავლობაში მიემატა ქართული წიგნები და ხელთნაწერები—161 ცალი, სხვა ენაზე 20 ცალი. 1899 წელს „საზოგადოებამ“ დაბეჭდა: 1) ვაჟა-ფშაველას თხზულებანი, 2) ა. ს. პუშკინის ლექსთა კრებული, 3) ქართული სიმღერები, კარგარეთელისა, 4) დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა და 5) ბუნების-კარი, მისივე. „საზოგადოების“ ფოტოგრაფიას შემოსვლია საანგარიშო წელს 6157 მან. 97 კაპ., დახარჯულა—5486 მან. 30 კაპ., წმინდა მოგება დარჩენილა—სულ 671 მან. 67 კაპ., სხვა და-სხვა თანხების ფული ყოფილა „საზოგადოებაში“ 10,290 მან. 48 კაპ.: საანგარიშო წელს მიემატა 1223 მან. 38 კაპ., რომელიც შემოსულა გ. ქართველიშვილის გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის“ წიგნებიდან და რომელიც ხსენებულ პირს შეუწირავს „საზოგადოებისთვის“ საკუთარ სტამბის დაარსებისათვის. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ შემოსვლია საწევრო ფული მხოლოდ 1359 მან.; ხოლო ყულაბებიდან შემოსულა სულ 361 მან. 73 კაპ. „საზოგადოებისთვის“ შემოუწირავთ: ბა-

ქოში გამართულ სალამოდან 2000 მან., განჯაში გამართულ სალამოდან—366 მან., ი. ს. ჯაბადარისაგან შემოსულა—467 მან. და სხვა წვრილი,—სულ კი შემოუწირავთ—3231 მან. 32 კაპ.; კონცერტიდან „საზოგადოებას“ შემოსვლია 720 მან.; საქველმოქმედო ბაზრიდან შემოსულა—1419 მან. 52 კაპ.: წიგნების ვაჭრობიდან მოგება ყოფილა—1868 მან. 52 კაპ. და სხვ. წვრილი შემოსავალი; სულ კი „საზოგადოებას“ შემოსვლია საანგარიშო წელს—19,723 მან. 70 კაპ.; იმავე დროს გასავალი ყოფილა—17,687 მან. 28 კაპ.; გადამეტებული შემოსავალი არის 2036 მან. 42 კაპ.

✦ 25 მაისს შესდგა სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშავოს პროექტი **საქართველოს რუსეთთან შეერთების** 100 წლის შესრულების **დღესასწაულის შესახებ**. კომისიას წარედგინა განსახილველად ოთხი საგანი: 1) გაიხსნას ტფილისში პოლიტეხნიკუმი, 2) დაარსდეს საპოლიტეხნიკუმო მუზეუმი, 3) გამოიცეს ტფილისში რუსეთის მმართველობის 100 წლის არსებობის ისტორია და 4) დაიდგას ძეგლი. კომისიამ განიხილა ჯერ-ჯერობით და მოიწონა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების პროექტი. დანარჩენი წინადადებანი შემდეგ იქნებიან განხილულნი.

✦ კარგა ხანია, გამოირკვა, რომ ცოცხალის **საქონლის წესიერად გაჩერებისათვის** საჭიროა ქალაქმა საკუთარი ბაკები გამართოს სავაჭრო ბაკთან და ქალაქში აღკრძალოს კერძო ბაკებში მათი შენახვა. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ამისთანა ბაკები გამართოს ნავთლუღში, საქონლის სავაჭრო ბაკთან.

✦ 25 მაისს ტფილისში გაიხსნა ცნობილის **რუსულის პატრიოტულის საზოგადოების** განყოფილება. ამ საზოგადოებას სახელად ეწოდება „რუსულის ისტორიულის განათლების მზრუნველთა საზოგადოება იმპერატორის ალექსანდრე III სახსოვრად“. ტფილისის განყოფილების დამაარსებელნი არიან: ეგზარხოსი ფლაბიანე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, ველიჩკო, მამა ვოსტორგოვი, პირველ გიმნაზიის დირექტორი მარკოვი და ბ-ნი ესაძე. გახსნაზე ველიჩკომ წაიკითხა ლექსი „რუსული იდეია“, ხოლო მამა ვოსტორგოვმა დაახასიათა დიადი მნიშვნელობა ახალის საზოგადოებისა კავკასიისთვის.

✦ უმაღლესს სასულიერო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო უწყების წინაშე, რომ მომავალ სამოსწავლო წლისათვის გაეხსნას მას ხაზინიდან $3\frac{1}{2}$ მილიონის კრედიტი, რათა შეიძლებოდეს ყველა ეპარქიებში ახალის **სამრევლო სასწავლებლების** გახსნას.

✦ ტფილისში ამ ჟამად იმყოფებიან, სამსახურის საქმეებისა გამო, ფოთის ქალაქის თავი **ნ. ნიკოლაძე** და ოზურგეთისა—**ნ. თავდგირიძე**.

✦ ამ დღეებში საგანგებო კომისია დაიწყებს **დათვალიერებასა და გასინჯვას ამიერ კავკასიის რკინის გზებისას**. კომისიის მუშაობას დაესწრება ხსენებულ გზების უფროსი ბ-ნი ვედენეევი, რომელიც დღეს უნდა ჩამოვიდეს ბაქოში პეტერბურგიდან.

✦ 8 მაისს უმაღლესად დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის შესახებ, რომ ხაზინიდან გადადებულ იქმნას საკმაო ფული **ქუთაისის რეალურ სასწავლებლისთვის** ადგილის ყიდვისა და შენობის აგებისთვის.

✦ აქსტაფიდან ბაქომდე **რკინის გზის მეორე ლიანდაგის** კეთებას მალე შეუდგებიან. გამკეთებლად ინიშნებიან ინჟინერები სმუგგე და კრესტიევი.

✦ ჩვენ გვწერენ, რომ ფოთის ქალქის თვით-მმართველობის მდივანი ვ. ა. **დემიდოვი** თავს ანებებს თანამდებობას, რადგანაც სახელმწიფო სამსახურში გადადის, ხოლო მის მაგიერ ფოთის ქალაქის გამგეობის მდივნად ასახელებენ უნივერსიტეტში შარშან კურს-დამთავრებულს ბ-ნ **კანდელაკს**.

✦ ეკატერინოდარის ქალაქის თავი დაჰკითხებია გზათა სამინისტროს, რა მდგომარეობაში არის **შავი ზღვის პირზე რკინის გზის გაყვანის საქმე**. ამაზე შემდეგი მასუხი მოსულია დეპეშით: „შავი ზღვის ნაპირზე რკინისგზის საქმე ეხლა აღარ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს განსახილველად, რადგანაც კაპიტალისტების ამხანაგობა, რომელიც აპირებდა ამ გზის კეთებას, დაიშალა, ახალი ამხანაგობა კი ჯერ არ შემდგარა, ხოლო ხაზინის ხარჯით ამ გზის გაყვანა უარ-ყოფილია“.

✦ 4 ივნისს, კნ. ბ. ბარათაშვილის თაოსნობით მუშტაიდში გაიმართება სახალხო სეირნობა ბაზრითურთ **ინსტიტუტის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ**. ბაზრისთვის შემოწირულებას იღებს კნ. ბარათაშვილისა, რეუტოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.

✦ სათანადო მთავრობას აღუძრავს კითხვა, რომ **ნავთის მილი** გაყვანილი იქმნას აგრეთვე გროზნოდან კასპის ზღვამდე.

✦ კნ. ეკ. გიორგის ასულის ერისთავისაგან ჩვენ მოგვივიდა ყვირილიდან შემდეგი წერილი: „15 აპრილს მე გავმართე დ. ყვირილაში საცეკვაო სალამო აქაურ უფასო წიგნთსაცავისა და სამკითხველოს სასარგებლოდ. სალამოს გასამართად სადგომი დაგვითმო ბ. იორდანე ცერცვაძემ, რომელსაც უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ასეთის კეთილის საქმისათვის. სალამოდან წმინდა შემოსავალი დარჩა 101 მან. და 50 კაპ., რომელიც გადაეცა წიგნთსაცავის მმართველობას“.

✦ ივნისის პირველ რიცხვებში კავკასიაში ჩამოვა საექიმოდ **ბუხარის ემირი**.

✦ გზათა სამინისტროში იხილება ამ ჟამად პროექტი იმის შესახებ, რომ **შეკვეთილი წერილები** რკინის გზის სადგურებმა მიიღონ ხოლმე იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს საფოსტო კანტორა ან განყოფილება.

✦ 20 მაისს რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრება შეუდგა განხილვას ახალის პროექტისას რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის **სამარხ კასების** დაარსების შესახებ.

✦ **თელავიდან** გვწერენ: „თელავში და მასთან მთელ კახეთში მაისის პირველიდამ დაწყობილი განუწყვეტლივ წვიმს, ასე რომ მცხოვრებთ ზამთრის ტანისამოსი მოანახვინა და ზოგსაც ღუმელი აანთებინა. აპრილმა ისე გაიარა, რომ მშვენიერი ამინდები იყო, ყველამ გამოიზაფხულა, ხეხილებიც დაკოკრდა და აყვავებას ლამობდა, რომ უცბათ ამინდი არ შეცვლილიყო. დაიწყო გამუდმებული წვიმა და შესამჩნევად აცივდა, რის გამო ხეხილები დასძრა კოკორში და ჩასცვივდა, ისე რომ ზოგი არც-კი აყვავებულა. წვიმების გამო ხევები ადიდდა, ზოგნი მათგანნი თავიანთ დაშვებულ კალაპოტებიდამ გადმოვიდნენ და წალეკეს დათესილი ნახნავები. ამას გარდა გზები ტალახისაგან და ხევები ისეა დახრამული, რომ მიმოსვლა გაძნელებულია. ჯეჯილები თავ-ფავისთვის მოიყარა და ეშინიანთ არ აბალახდეს. ხოლო ვაზმა მკლავის სიგრძე რქა გაიზარდა, მოწამლაც ძრიელ უჭირს, მაგრამ სად არის მისი ამინდი. ზოგმა უწამლეს კიდეც, მაგრამ ამაოდ, რადგანაც ორი სამი საათის შემდეგ ისევ ჩამოირეცხებოდა ხოლმე წვიმისაგან. ყველა მოუთმენლად ელიან და ნატრობენ გამოდარებას, რომ ავდრისაგან შეყენებული საქმე გააკეთონ.

ეს სამი დღე 23—25 კარგი დღეები დაიჭირა, თუ კიდევ არ მოგვნახა ცივ-გომბორის მთის შავმა ღრუბელმა.“

✦ **ნაფარეულიდან** გვწერენ: „დაიწყო გაზაფხულის გამუდმებული წვიმა და მაისის განმავლობაში არ შეწყვეტილა. წვიმას ვინა ჩიოდა, ნეტავი ზედ სეტყვა არ დაემატებინა. მაისის პირველ რიცხვებში ისეთი სეტყვა მოვიდა, რომ ახლომახლო სოფლები და ლალისყური მიწასთან გაანადგურა ამ შეუბრალებელმა სტიქიონის ძალამ. ჯეჯილი, ბაღახი, ბოსტნეულობა და ვაზი ისე გაანადგურა, რომ გლეხი იძახის: „ნეტა საგაისოდ არ გაეფუჭებინა ამ წყეულ სეტყვას, თორემ წელს ვინა ჩიოდაო.

ამ სოფლებს ბედმა არ აკმარა სეტყვისაგან განადგურება. მაისის მეორე ნახევარში საქონელი რაღაც სენმა შეიპყრო და მუსრი გაავლო. ჯერ ვერ გაიგეს, მაგრამ მეორე მესამე დღეს მიხვდნენ, ეს ხომ ჩვენი დამღუპავი საქონლის ჭირი იქნებაო და მაშინვე მიმართეს თავიანთ მთავრობას ზომების მისაღებად. ადმინისტრაციის მიერ საჭირო ღონისძიება იქმნა მიღებული სენის მოსასპობლად“.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება შესახებ 400 მანეთის გადადებისა **მუსიკის** დამკვრელთა მისაწვევად ალექსანდრეს ბაღში.

✦ ტფილისის კომენდანტმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ბრძანება გაეცი, რათა ჯარის კაცებმა ალექსანდრეს ზევით და შუა ბაღებში არ იარონ.

✦ ამ №-თან **ურიგდება ტფილისის ხელის-მომწერთ «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» მოქმედების ანგარიში 1899 წ.**

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**26 მაისი**

**ხარკოვი.** ენეიდოვის ქალის მოკვლისათვის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა ცოლ-ქმარს პროხოდჩენკოვებს 12 წლის კატორღა, ოსტაპენკოვს—8 წლის კატორღა.

**პოლტავა.** სასამართლომ მოისმინა ექიმ—ექსპერტების აზრი. პროფესორების პატენკოსა და ობოლენსკის აზრით, კომაროვი ბაწრით არ დაუხრჩვიათ; ექიმი მიხნეევი კი ისევ იმ აზრისაა, რომ კომაროვი ბაწრით დაახრჩვეს.

**ლორენცო-მარკეზე.** ხმა არის, რომ ბურებს განუზრახავთ გამაგრდნენ გატერლეისთან, პრეტორიიდან 12 მილის მანძილზე.

ინგლისელი ტყვეები ბურებმა წაიყვანეს ნოვიტგედახტში, სადაც ჯანმრთელობისათვის მავნებელი ჰავაა. იქ მიიყვანეს 1000 ტყვე, რომელთაც დარაჯობს 250 ბური.

**რომი.** პაპი გუშინ გაცივდა და უქეიფოდ არის.

**ვენა.** მემარჯვენე პარტიათა საზოგადო ყრილობაზე ჩეხებმა განაცხადეს, რომ არ შეუძლიანთ თავი დაანებონ ოპოზიციას. კათოლიკეთა სახალხო პარტიის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ ჩეხელების განცხადების შემდეგ ისპობა კავშირი მემარჯვენე პარტიათა შორის. ხანგრძლივის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ იავორსკიმ დახურა კრება და თანაც გამოაცხადა, რომ დღევანდელი თათბირი ამტკიცებს მემარჯვენე პარტიათა მოსპობასაო.

**ლონდონი.** 19 მაისს ლინდლეისთან იომანრის მოუკლეს ორი აფიცერი და 16 ჯარის-კაცი; დაუჭრეს 4 ოფიცერი და 25 ჯარის-კაცი. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ ცნობები არ არის.

**ლონდონი.** უცხოელთა ელჩები პეკინში და კონსულები ტიანცზინში ერთად თათბირობენ იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ უცხოელთა დასაცველად. თათბირი აქვთ გამართული აგრეთვე უცხოელთა გემების უფროსებსაც. დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა სახელმწიფონი ერთად იმოქმედებენ; მხოლოდ ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ შეერთებული შტატები არ მოიწონებენ იმ ზომებს, რომელთა მიღებასაც გარდასწყვეტენ დანარჩენი სახელმწიფოები.

**ბერლინი.** კრეისერთა ესკადრის უფროსს ებრძანა გაგზავნოს რაზმები ტიანცზინს.

**პეკინი.** ორი დღეა ტიანცზინიდან ფოსტა არ მოსულა. უცხოელთა ელჩებს თათბირი ჰქონდან იმის შესახებ, რომ მოითხოვონ საგანგებო აუდიენცია დედოფალთან, მაგრამ ვერაფერი გადასწყვიტეს.

**ტიანცზინი.** ორშაბათიდან შესწყდა რკინის გზის მიმოსვლა პეკინთან. როგორც ჰფიქრობენ, ერთად-ერთი საშუალებაა—ევროპიელებმა თვით ჩაიბარონ რკინის გზების დაცვის საქმე ჩინეთში, ვიდრე მთავრობა მოსპობს აჯანყებას. „რეიტერის სააგენტოს“ კორრესპონდენტს, რომელიც ტამისაკენ მიდიოდა, ჩინეთის გენერალმა ნიჩმა აუკრძალა წასვლა, რადგანაც მთელი ის მხარე „დიდი მუშტის“ მომხრეთა ხელშიაო. კორრესპონდენტმა ყველგან, სადაც კი გამოიარა, ნახა წარწერები—„სიკვდილი უცხოელთაო“. რკინის გზის გიყოლებია ყველა სოფლებს ცეცხლი წაუკიდეს. ერთმა ბელგიელ ინჟენერის მსახურმა ამბავი მოიტანა, რომ მან ტიანცზინის ახლო ნახა გვამები 5 ევროპიელისა და ორის ჩინელისა. დიდს ქვაზედ უნახავთ „დიდი მუშტის“ განცხადება, რომ შემდეგ შაბათს ყველა უცხოელნი იქმნებიან ამოწყვეტილნიო.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმმა მიიღო პროექტი ფლოტის გაძლიერების შესახებ.

**პარიზი.** არჩეულ იქმნენ 1901 წლის საბიუჯეტო კომისიის წევრები. უმრავლესობა თანაუგრძნობს მთავრობის პროექტს.

აქ მოვიდა შვედთა მეფე ოსკარი. სადგურზე მას მიეგება რესპუბლიკის პრეზიდენტი.

**მეფკინგი.** პლუმერმა 15 მაისს დაიჭირა ქალაქი ზეერუსტი; მისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**კემბელი.** უორენმა დაიჭირა კემბელი; მისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**ლორენცო-მარკეზე.** ჰოლანდიელ კრეისერზე „ფრისლანდზე“ დასხეს 100 ჰოლანდიელი გახიზნული. ერთი კორრესპონდენტი იუწყება თავის ლაპარაკის შესახებ კრიუგერთან და რეიცთან მახადოდორპში. კრიუგერმა სთქვა, რომ პრეტორიის აღება არ ნიშნავს ომის დასრულებას; ბურგერებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა უკიდურესობამდე და არ დანებდებიან, სანამ ტრანსვაალში 500 მეომარი მაინც მოიპოვება. „რესპუბლიკის სატახტო ქალაქი“, განაგრძო კრიუგერმა, „აქ არის“. მტერი შემოგვესია, მაგრამ ჯერ არ დაუპყრივართ. მთავრობას ჯერ კიდევ ძალა არ დაუკარგავს. ტყუილია, ვითომც მე 2 მილ. ოქრო შემენახოს; ყველა ფულები, რომელიც ჩემს განკარგულებაშია, სახელმწიფო საჭიროებას უნდა მოვახმარო. მე არ განმიზრახავს, როგორც ჰფიქრობენ, ჰოლანდიელ გემით წასვლა ლორენცო-მარკეზედან: მე არ დავტოვებ ქვეყანას; მხოლოდ ახლა იწყება ნამდვილი ბრძოლა. მე ვშიშობ, რომ კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება და ამის დამნაშავე ინგლისის მთავრობა იქმნება“. ბურები, ალბათ, დაიწევენ ლეიდენბურგისაკენ, სადაც მათ შეეძლებათ რამდენიმე თვეს გამაგრდნენ.

**ტიანცზინი.** ტიანცზინიდან 20 მილის სიშორეზე, პეკინის მხარეზე, შეტაკება აქვთ ჩინელებს და «დიდი მუშტის“ ბრბოს. გუშინ მოხდა შეტაკება ტაკუს გზაზე. აქაურ რკინის გზის სადგურზე 75 ინგლისელი ჯარის-კაცი ელის ნებართვას რკინის გზით წასვლისათვის

**პეკინი.** პასტინთან ჩინეთის ჯარი დამარცხდა. საფრანგეთის ორი გემი და რუსეთის გემი „როსსია“ მივიდნენ ტაკუში.

**ვარშავა.** აქ მოვიდა სპარსეთის შაჰი და მათ დახვდა რკინის გზის სადგურზე თავადი იმერეტინსკი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსებითურთ. შაჰი ეტლით წავიდა ლაზენკოვის სასახლეში. ქალაქი მორთული იყო სპარსეთის საეროვნო დროშებით. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

**გლასგო.** კემპბალ ბანერმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც შენიშნა, რომ უკანასკნელი და მართალი გარდაწყვეტილება სამხრეთ-აფრიკის კითხვაში უნდა დაემყაროს თვით კაპის ახალშენების მცხოვრებთა და აგრეთვე ინგლისელთა და ირლანდიელთა გონივრულ მოსაზრებაზეო. ინგლისელთათვის ფრიად საყურადღებოა ეს კითხვა. დამარცხებული სახელმწიფოები უნდა დამორჩილდნენ იმპერიას, მაგრამ, მოიპოვებს რა სასურველს მფლობელობას, ინგლისმა უნდა იზრუნოს, რათა რაც შეიძლება მალე მიანიჭოს ახლად შემოერთებულს ახალშენებს თვითმმართველობა ისეთივე, როგორიც არსებობს ინგლისის დანარჩენ ახალშენებში. თვითმმართველობის მინიჭება აუცილებლად საჭიროა—ახალშენების ხეირიან მართვა-გამგეობისათვის.“

**პოლტავა.** მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ პეტრე სკიტსკი ლოთობდა და ღამე ხშირად გადიოდა სახლიდან სადღაც. კონსისტორიის სხვა მოსამსახურეთაც არ უძებნიათ კომაროვი. ვინმე სილიჩს ოლენსკების სახლში გაუგონია სტეფანე სკიტსკის მუქარა კომაროვის მოკვლის შესახებ. ოლენსკები არ ამტკიცებენ სილიჩის სიტყვებს. სილიჩი ამტკიცებს,—ვითომც ოლენსკის ეთქვას, რომ კომაროვი სკიტსკიმ მოჰკლაო, მაგრამ გამართლდებიანო. ოლენსკიმ ამ სიტყვებზედაც უარი განაცხადა, როცა იგი პირისპირ დაუყენეს სილიჩს.

**ვენა.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული აქ მოვიდნენ.

**ლორენცო-მარკეზე.** ამერიკის კონსული მოვიდა აქ მოხოდოდორპიდან, სადაც საუბარი ქონდა კრიუგერთან, რომელსაც კონსულმა გადასცა მეგობრული რჩევა ამერიკის მთავრობისა, რომ კრიუგერი შეუდგეს მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის მოლაპარაკებას.

**ლერიბე.** რენდლმა მძლავრის რაზმით დაზვერა გომმონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიდამო და კარგად დაათვალიერა ბურების ბანაკი. შემდეგ დაზვერისა იგი დაბრუნოა ბანაკში.

**ტიანცზინი.** ტიანცზინსა და პეკინს შუა რკინის გზის მიმოსვლა აღდგენილია. მთავრობამ ნება არ მისცა ინგლისელთ ესარგებლათ რკინის გზით ჯარების გადასაყვანად, თუმცა ინგლისელები ჰპირდებოდნენ აღედგინათ მიმოსვლა მთავრობის სურვილისამებრ; დღეს აქ მოვიდნენ 75 ავსტრო-უნგრეთის და 80 რუსეთის ჯარის კაცი.

**პეკინი.** ცუნგ-ლი იამენმა განაცხადა, რომ შაბათს რკინის გზით მიმოსვლა აღდგენილი იქნებაო და ამასთან ერთად უარი განაცხადა, რომ ინგლისელებს თავიანთი ჯარები მოეყვანათ. გამოცხადებულია, ვითომც ინგლისის საზღვაო ჯარის კაცნი უფრო მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენ სახელმწიფოების ერთად.

**ვილნო.** გათავდა დღესასწაული სუპრალსკის მონასტრის 400 წლის არსებობისა. დღესასწაულს დაესწრო გენერალ გუბერნატორი.

**კონსტანტინეპოლი.** კრუპი ხელშეკრულებით შეეკრა მთავრობას რვა ახლად გადაკეთებულ გემის შეიარაღების შესახებ.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს დელკასემ წაუკითხა დეპეშა ჩინეთის საქმეების შესახებ. პიჟონი აქამდისინ ჰმოქმედებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად. ადმირალმა კურუელმა მიიღო მოწერილობა ტაკუში, რათა მოელაპარაკოს დანარჩენ ევროპიელ სახელმწიფოთა ადმირალებს დასაცველ ზომების შესახებ, თუ ამას მოითხოვს გა-

რემოებათა ეითარება. ადმირალი ჟერვე 1900 წლის ალლუმის დროს გაუწევს უფროსობას საზღვაო ჯარებს.

**პეტერბურგი.** 26 მაისს საბერძნეთიდან მოვიდა ელლინთა დედოფალი დიდის მთავრით ქრისტოფორითურთ.

**პეტერბურგის ბირჟა 26 მაისს.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $98^1/_4$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $100^3/_4$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $98^7/_8$ | — |
| 5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $306^1/_2$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $264^1/_2$ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 206 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | $90^3/_4$ | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | 90 | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 10 კ. | |
| სუკი . . . . . . | » | —15 კ. | |
| » ცხვრისა . . . . | » | $—8^1/_2$ კ. | |
| » ღორისა. . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. | |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის შერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. | |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ » | |
| » » | III » | » » | 3 » | |
| ავიკე თორნისა | I » | » » | 5 » | |
| » | II » | » » | 4 » | |
| » | III » | » » | $3^1/_2$ » | |
| ლავაში ჯკ. მამ. | I » | » » | 6 » | |
| » » | II » | » » | 4 » | |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,

| | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | 1 | 1 | 30 | 120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88—85 | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70—— | |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20—— | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10—— | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60—— | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60—— | |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50—— | |
| თივა . . . . . | 1 | — | 60—— | |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28—— | |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორ მადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ ი მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%. შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით 1-ლ ივნისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა კახეთისა და ლაზარევის ქუჩებზე ქვა-ფენილის გასწორებისათვის 1100 ოთხ-კუთხი საჟენის მანძილზე 2750 მანათისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. (ნ. 3—1)

აპრილის 20-ს ამა წლისას, სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თავად ბებუთოვების სახლში გაიხსნა

## ქალაქის სააუქციონო დარბაზი.

სააუქციონო დარბაზი მოახდენს საჯარო გასყიდვას ყოველგვარ მოძრავ ქონებისას სახელმწიფო დაწესებულებათა, მოხელეთა, საკრედიტო დაწესებულებათა, გამსესხებელ კასსებისა და კერძო პირთა განცხადებისა თანახმად.

საჯარო გასყიდვა მოხდება სააუქციონო დარბაზში, მაგრამ შეიძლება ქონების პატრონის სახლშიაც მოხდეს იგი ან და მაღაზიებში და დუქნებში, მსურველთა თხოვნის თანახმად.

დაწვრილებითი პირობები ქონების მოტანისა, შენახვისა და გასყიდვის შესახებ დაბეჭდილია «ტფილისის სააუქციონო დარბაზის წესდებაში», რომლის მიღება მსურველს შეუძლიან თვით დარბაზის სადგომში ზემო მოყვანილ ადრესით. ნ. 5—5

**მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭო**

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს იმის შესახებ, რომ მათ დაეთმოს სადგურ ჭიათურაზე პლატფორმები მარგანეცის საწყობად. რომ საწყობებისა და ვაგონების განაწილების შესახებ არსებულ კანონების მე-4 მუხლის ძალით, რომელიც შემოღებულ იქმნა ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ცირკულიარით 18 მარტს 1190 წელს, ხსენებულ პირებმა უნდა წარმოადგინონ კავკასიის სამთო მმართველობის მოწმობანი იმის შესახებ, რომ მათ ნება აქვთ მადნების შემუშავებისა იმის ჩვენებით, თუ რამდენი აქვს მადნებზე მარგანეცი (უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 30.000 ფუთისა) ან და უნდა წარმოადგინონ სამრეწველო მოწმობა 1-ლის სარისხისა. ეს მოწმობანი უნდა წარუდგინონ მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭოს. ან ვაგონებისა და პლატფორმების გამანაწილებელ კომიტეტის თამჯდომარეს **არაუგვიანეს 15-ის ივნისის** 1900 წლისა; ამასთანავე საბჭო აცხადებს, რომ იმ პირთა განცხადებანი, ვინც არ წარმოადგენს ამ-გვარ მოწმობებს, სრულიადაც არ იქნებიან განხილულნი. (ნ. 3—1)

**ისტორიული ნარკვევი**
ა ნ უ
**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**
შედგენილი
ალექსანდრე ჭყონიასაგან
მოწონებულია კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

# ვექილი
**ა. მ. ახნაზაროვი**

გადავიდა ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 42.
დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—8)

გამომც. **გ. გუხაი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.